

# ახალი თაობა



„პარტიას, რომელსაც არ მიუღია უბრალო უმრავლესობას კი, შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა“




კოჟორიძე საარჩევნო სისტემის ხარვეზებზე საუბრობს

11 ოქტომბრიდან

ელისი სამსრავათა ქვეყანაში

ფასი  
ბაზეთან  
ერთად  
12 ლარი




სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 2016

№241 (7167)

ფასი: 50 თეთრი

## ნაციონალური სააკაშვილის წინააღმდეგ

შესვლა – არშესვლა?! საკითხავი, აი, ეს არის



გიორგი კვირიკე: „გეორგი ტურს „ქართული ოცნება“ მოიგებს“



### ირაკლი ალასანია პოლიტიკიდან წავიდა

ჩვენ უახლოესი პერიოდის განმავლობაში გავაანალიზებთ ამ შედეგებს თითოეულ ოლქში, თითოეულ უბანზე, თუ რა შედეგი დავდეთ და რატომ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გამარჯვებით შევსულიყავით პარლამენტში

### „სააკაშვილის აბრუსიულმა მოწოდებებმა „ოცნებას“ მხარდამჭერები გაუზარდა“



პეტრე მამრადე: „ბურჯანაძემ, რესპუბლიკელების მსგავსად, სრული კრახი განიცადა“



ლევან ალაფიშვილი: „კონსტიტუცია გასამართია მთლიანად და არა მხოლოდ ერთ ნაწილში“

„დღეს ქართულ მოდელში ვცხოვრობთ“



სოსო შაბეკაშვილი: „ნაციონალურმა შეიქმნა ახალი არჩევნები მოითხოვონ“



ოლანი კუტინს აღარ შეხვდება

ლიტვის პარლამენტში 7 პარტია გადის



ISSN 1987-9385  
9 771987 938006



# ნაციონალური სააკაშვილის წინააღმდეგ

შორენა მარსაგივილი

## შესვლა – არშესვლა?! საკითხავი, აი, ეს არის

ნაციონალური მოძრაობის მიმდევარი დაუდგა. არჩევნებში განცდილ მარცხს შიდაპარტიული დაპირისპირებად დაემატა. პარტიის ერთი ნაწილი პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობს, მეორე ნაწილს კი ერთი სული აქვს, თუ როდის შეუდგება ახალი პარლამენტის საქმიანობას.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს სამოქმედო გეგმა 9 ოქტომბერს უნდა წარმოედგინათ, მაგრამ ვერც 10 ოქტომბერს მოიფიქრეს, რა უნდა გააკეთონ. პარტიამ სიტუაცია იმდენად აირია, რომ ნაციონალურის ნაწილი მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაც კი წავიდა, რომელიც თანაპარტიულს ოდესიდან საგანგებო მინარტყით შეეხმანა.



სააკაშვილი

უნდა ვთქვათ, რომ ძალიან ბევრი ხმა აიღო როგორც ნაციონალურმა მოძრაობამ, ასევე ივანიშვილის პარტიამ. არასწორია ქართველი ხალხის დადანაშაულება, რადგან ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ადამიანები არჩევანს. მაგრამ ივანიშვილი არ სცემს პატივს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერთა არჩევანს და ფეხქვეშ გათელა მათი უფლებები, – ასე მიმართა სააკაშვილმა მომხრეებს.

მან თქვა, რომ ყურადღებით აკვირდებოდა ყველა ოლქს და განსაკუთრებით ზუგდიდს, სადაც ივანიშვილმა წინასწარ დააანონსა, რომ სანდრა ვერ გასულიყო.

– საბოლოო ჯამში, საქმეში ჩართეს შვედრანდისდროინდელი ზანდები, შენგელისა მეთაურობით, რომლებმაც დაარბიეს ის საარჩევნო უბნები, რომლებშიც ყველაზე მეტი ხმები იყო მიღებული. ასე გაყალბდა ყველაფერი – კახეთში, აჭარაში, მათ შორის თბილისში, სადაც უფრო ადვილია კარუსელის ტრიალი, სადაც ხალხი ერთმანეთს არ იცნობს, როგორც ეს ზოგიერთ სოფელშია, – განაცხადა ექ-

საქართველოს მასშტაბით 51 საარჩევნო ოლქში მეორე ტური დაინიშნა, რომელიც ნაციონალურისა და მეოცნებების კანდიდატებს შორის გაიმართება.

სააკაშვილი თანაპარტიელებს ურჩევს, უარი თქვან მეორე ტურებზე, რაც პარტიის დიდი ნაწილისთვის მიუღებელია. ამ აზრს არც ჯერ კიდევ დაუბრუნებია გივი თარგამაძე იზიარებს. მისი თქმით, პარლამენტში შესვლასა და მეორე ტურში მონაწილეობაზე უარის თქმა თვითიზოლაციაა, რაც თვითიზოლაციის ტოლფასია. – პარლამენტში შესვლაზე, მეორე ტურებში ბრძოლაზე უარის თქმა სწორედ თვითიზოლაციის ორგანიზებაა. იმ სიტუაციაში კი, როდესაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იქცა ქვეყანაში ერთადერთ პროდასავლურ ძალად, თვითიზოლაცია ქვეყნის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრიობის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა. ეს ორი საყრდენი კი ჩემი ცხოვრების ფუნდამენტია.

მე ყველაფერი გავაკეთე პარტიის ერთიანობისთვის, შეგნებულად გავედი საარჩევნო სიდიდან და, ვფიქრობ, დაგამტკიცე, რომ ჩემზე, ჩემს ოჯახზე უკიდურესი ზეწოლის, მკვლელობის მცდელობის პირობებშიც არ შემიშუსტებია ბრძოლა, არ დამიკლია ძალისხმევა გამარჯვებისთვის.

მაგრამ დღეს, როდესაც შეგვიძლია მოვიპოვოთ დასავლელი პარტიორების, ანდაშლილი პროდასავლური პარტიების მხარდამჭერების მასობრივი მხარდაჭერა, ვიქცეო ქვეყნის ევროატლანტიკური არჩევანის მთავარი გარანტი, პოლიტიკური ბრძოლით ავაცილოთ ქვეყანას ყველაზე შეზღუდული წარსულში დაბრუნება, მივიყვანოთ სიტუაცია დანაშაულებრივი ხელისუფლების ბუნებრივ ჩამოშლამდე, ემოციების ან პერსონალური სურვი-

ლების გამო ამ ყველაფერზე უარის თქმას კატეგორიულად შევებრძობები.

წურავინ მეტყვის, რომ ჩემზე კარგად ესმის სიტუაცია ქვეყანაში. 30 წელიწადია, ამ ბრძოლაში ვარ. ჩემი ოჯახი შექმნის დიდიან უკიდურესი საფრთხის ქვეშ ცხოვრობს, მაგრამ შეგნებულად მიდგას გვერდში. მისას პოლიტიკიდან შემოსვლის პირველი დღიდან მის გვერდში ვარ და არაფერზე უარს არ დამიხეია, მაგრამ მე მაქვს ჩემი გონება, ჩემი გული და ჩემი მებრძოლი სული. ამიტომ მხოლოდ იმ მიმართულებას დავუჭერ მხარს, ვინაიდან ზუსტად ვიცი, რომ ესაა სწორი, – აღნიშნავს თარგამაძე.

ბოიკოტის იდეას ყველაზე მეტად გიგა ბოკერია ეწინააღმდეგება. მისთვის პარლამენტში შესვლაზე უარის თქმა ბრძოლის ველიდან გაქცევის ტოლფასია.

– იმ უმძიმეს ვითარებაში, რომელიც საქართველოშია შექმნილი და სადაც ქვეყანა ივანიშვილის რეჟიმის პოლიტიკამ და ამ არასამართლიანმა და არათავისუფალმა არჩევნებმა მიიყვანა, ჩვენ არათუ პოლიტიკიდან წასვლას არ ვაპირებთ, ვაგრძელებთ ბრძოლას და გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი მოქალაქე ჩაერთოს პოლიტიკაში, რათა გაიზარდოს იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ამ პოლიტიკას არ შეეგუებიან. ამისთვის ჩვენ ყველა კონსტრუქციულ მეთოდს გამოვიყენებთ, – განაცხადა გიგა ბოკერია.

განცხადებები სხვა ლიდერებმაც გააკეთეს, თუმცა საბოლოო განცხადებებზე მაინც ვერ შეთანხმდნენ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის, დავით ბაქრაძის განცხადებით, მათი ნებისმიერი ნაბიჯი კარგად უნდა იქნეს გააზრებული და მხოლოდ ორ-

თქლის გამოშვებასა და გულის მოფხანას არ უნდა ემსახურებოდეს.

ბაქრაძის თქმით, პარტია ბრძოლას ამირებს ყველა კანონიერი მეთოდით, მათ შორის, პოლიტიკური ინსტიტუტებშიც:

– მე და ჩემი გუნდი სრულიად ცალსახად ვაცხადებთ, ბრძოლა გრძელდება, ჩვენ არსად წასვლას არ ვაპირებთ, ვაგრძელებთ ბრძოლას და ამ ბრძოლაში ქართველ ხალხთან ერთად გავიმარჯვებთ, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისი აზრით, ამ ეტაპზე ნებისმიერი ნაჩქარევი განმარტება შეიძლება იყოს მათთვის საერთო პერსპექტივისა და ამ ბრძოლის მომავლისთვის.

– ჩვენ არ ვაპირებთ გულის მოფხანას და იმ ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც ხელისუფლებას გაამძლეობს. პარტიის პოლიტიკური საბჭო მიიღებს განმარტებებს და მას წარმოგიდგინებ უახლოეს დღეებში. ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას და ამ ბრძოლაში გამოვიყენებთ ყველა კანონიერ მეთოდს, რომელიც მოიცავს როგორც საპროტესტო აქციებს, ასევე პოლიტიკური ინსტიტუტებში ბრძოლას და უცხოეთში ჩვენს პარტნიორებთან მუშაობას, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.



# ირაკლი ალასანიას პოლიტიკიდან წავიდა

შორენა მარსაგივილი

თავისუფალი დემოკრატები პარტიის თავმჯდომარის გარეშე დარჩნენ. პარტიის ლიდერმა ირაკლი ალასანიამ არჩევნებიდან 2 დღის შემდეგ პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა.

მისმა პარტიამ 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახა, თავად კი გორის მაჟორიტარულ ოლქში მეორე ტურში გავიდა. მართალია, ის პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ გორში მეორე ტური მაინც ჩატარდება და ბიულეტენზეც იქნება მისი გვარი.

პოლიტიკიდან წასვლის მიზეზად ალასანიას არჩევნებში განცდილ მარცხს ასახელებს.

– მიხდა, უდიდესი მადლობა გადავუხადო მოქალაქეებს, რომლებმაც მადლი დამიჭირეს, განსაკუთრებით გორის ამომრჩევლებს, თუმცა მე მივიღე განმარტებები, რომ შევანერო ჩემი კამპანია, რადგან ჩვენი შეთავაზებების შესრულებას სჭირდება გუნდი, რომელსაც უნდა ემუშავა პარლამენტში. სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა არ მოგვეცა, ვინაიდან ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ აქტიურად მოვახდინო გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, მივიღე განმარტებები, დროებით გავიდე პოლიტიკი-



ირაკლი ალასანია

დან, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მართალია, ალასანია პოლიტიკიდან მიდის, მაგრამ პოლიტიკურ ბრძოლაზე უარს არ ამბობს. სხვა თავისუფალ დემოკრატებთან ერთად ის პარტიის გადახალისებას აპირებს.

– ყველას ერთად გადასარბელი გვაქვს და გადასასვლებელი ის, თუ რატომ მივიღეთ ასეთი შედეგი. ჩვენ უახლოესი პერიოდის განმავლობაში გავანალიზებთ ამ შედეგებს თითოეულ ოლქში, თითოეულ უბანზე, თუ რა შედეგი დავდეთ და რატომ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ გამარჯვებით შევსულიყავით პარლამენტში. ამას აქვს მიზეზები, რომლებსაც თვითკრიტიკულად უნდა მივუდევოთ და დავიწყოთ სერიოზული რეორგანიზაცია თავისუფალი დემოკრატების პარტიის, განაცხადა და დაგეგმა ადგილობრივ არჩევნებზე ჩვენი მონა-

წილობის. უახლოეს დღეებში სწორედ ასეთი სამუშაო გვექნება ჩასატარებელი, – განაცხადა ალასანიამ.

ირაკლი ალასანია დარწმუნებულია, რომ თავისუფალი დემოკრატები სერიოზულად მოემზადება და გააგრძელებს ბრძოლას შემდგომი არჩევნებისთვის.

– ამას სჭირდება დრო, ამას დასჭირდება ანალიზი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მომავალ არჩევნებზე ბევრად დიდ, საიმედო შედეგს დავუდებთ, – აღნიშნა პოლიტიკიდან დროებით წასულმა.

როდის დაბრუნდება პოლიტიკაში, ალასანია არ ამბობს, მაგრამ აცხადებს, რომ ყოველთვის საქართველოს ერთგულ ჯარისკაცად დარჩება.

მის განმარტებებს მყისიერად გამოეხმაურნენ „ქართულ ოცნებაში“. ირაკლი კობახი-

ძემ, რომელსაც ცალი ფეხი უკვე პარლამენტში აქვს, განაცხადა, რომ მათი პარტია თავისუფალ დემოკრატებთან ითანამშრომლებს.

ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენლებს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შესთავაზებენ პოსტებს. ეს ინფორმაცია გია ვოლსკიმ კატეგორიულად უარყო.

\*\*\*

ირაკლი ალასანიამ პარტია „ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები“ 2009 წელს დააფუძნა. 2012 წლის დასაწყისში ის კოალიცია „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა, ამავე წლის 25 ოქტომბრიდან 2014 წლის 4 ნოემბრამდე კი საქართველოს თავდაცვის მინისტრო იყო.

2004 წლის სექტემბრიდან 2006 წლის მარტამდე ალასანიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და კონფლიქტების მონესრიგების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის თანამდებობები ეკავა.

2006 წლიდან ირაკლი ალასანია იყო საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი გაეროში. ამ თანამდებობიდან ის 2008 წლის 4 დეკემბერს გადადგა.

# „პარტიას, როგელსაც არ მიუღია უბრალო უმკაცროს კი, შეიძლება კონფლიქტური უმკაცროს“

### კოჟორიძე საარჩევნო სისტემის ხარვეზებზე საუბრობს

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი კახა კოჟორიძე 8 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს ფეხსუბზე ეხმაურება.

მისი თქმით, მთავარი პრობლემა, რომელიც ამ არჩევნებში წარმოაჩინა, არის საარჩევნო სისტემა, რომლის მიხედვითაც პარტიას, რომელმაც არჩევნებში უბრალო უმრავლესობაც კი ვერ მიიღო, პარლამენტში შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა.

– მთავარი პრობლემა იყო საარჩევნო სისტემა, რომელიც, პრეზიდენტის მცდელობის მიუხედავად, ვერ და არ შეიცვალა. ფაქტია, რომ არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას არ მიუღია უბრალო უმრავლესობაც კი (50%+1),



კახა კოჟორიძე

მაგრამ შეიძლება ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა (75%-ზე მეტი). ფაქტია, რომ ამომრჩევლის ნება არ ყოფილა რომელიმე პარტიის საკონსტიტუციო უმრავლესობით ხელისუფლებაში მოყვანა, მაგრამ ეს, მაღალი ალბათობით, მოხდება და ამაში დამნაშავე ხალხი ნამდვილად არ არის, – აცხადებს კახა კოჟორიძე.

მისი აზრით, ისინი, ვინც არჩევნების მეორე დღესვე საკონსტიტუციო ცვლილებებს გვიანონსებენ, უნდა დაფიქრდნენ და, სხვა ცვლილებებთან ერთად, საარჩევნო სისტემის ცვლილებაზე უნდა დაგვიანონსონ, მით უმეტეს, რომ ამ

ცვლილების აუცილებლობაზე წლების წინ თავად საუბრობდნენ.

– ამას მე ხომ არ ვამბობ, ეს ისტორიული გამოცდილებით დადგენილი აქსიომაა, რომ როდესაც მოქალაქეთა ნება და მანდატების რაოდენობა ერთმანეთს არ შეესაბამება, ირლევია ბალანსი და ჩნდება პოლიტიკური კრიზისების საფუძველი, რაც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად არ სჭირდება. იმედი მაქვს, არ გამოვრდებავის შეცდომები, რომლებიც ჩვენს უახლეს ისტორიაშიც მრავლად მოიქმნება...

და კიდევ ერთი, არა მგონია, ირაკლი ალასანია იმ ვითარებაში იყო, როცა „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“, – წერს კახა კოჟორიძე.

**ახალი თამბაქო**

განთი  
გამოცემის  
1993 წლის  
23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაჭრაძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოცინაშვილი  
**მთავარი რედაქტორი** – სოლო გოცინაშვილი  
**რედაქტორი** – ლალი ალანაშვილი  
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგივილი

**კონსულტანტები**  
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი  
**საინფორმაციო სამსახური** – კლარა ბალაგაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55  
**გაზეთის სამსახური** – მერაბ ლეგვინაშვილი  
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალისვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქოძე

**მისამართი:** ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.  
**ტელეფონი/ფაქსი** 2-94-06-91  
**ვებ-გვერდი** www.atb.ge **E-mail:** axtaoba@mail.ru  
**რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსების საფუძველი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სინუსტრეგე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.**



















# ჰილარი კლინტონმა ტრამპს დაებატა ისაე მოუგო



ზე სექსუალური ძალადობა გამოიყენა, - თქვა ტრამპმა.

ამან აუდიტორიის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ნამყვანმა ტრამპს ჰკითხა, მზად არის თუ არა, ქალების შესახებ თავისი გამოთქმების გამო ბოდიში მოისადოს. ტრამპი აშკარად დაიბნა.

- დიას, რასაკვირველია, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არასწორად გამოვიხდი. აუდიტორიაში სიცილი გაისმა. ღიმილი ვერც წამყვანმა შეიკავა. ჰილარი კლინტონმა ამით ისარგებლა და შეტევაზე გადავიდა: - მუდამ ვაცხადებდი და ახლაც ვამბობ, რომ დონალდ ტრამპი პრეზიდენტობისთვის აბსოლუტურად შეუფერებელია!

დებატები რუსეთთან ურთიერთობებსა და სირიაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ რუსეთმა სირიაში ვითარების დესტაბილიზაცია მოახდინა. ტრამპის პასუხი ფრიალ უცნაური იყო: - რუსეთთან კავშირი ისლამისტების წინააღმდეგ ეფექტური იქნებოდა!

სირიაზე საუბრისას ტრამპმა ობამას ადმინისტრაცია დაადანაშაულა უნიათობაში, რამაც რუსებს კარტლანში მისცა, რაც ეს ალუპოს გარშემო მიმდინარე მოვლენებზე აისახა. - ალუპო, შეიძლება ითქვას, უკვე დაეცა, - გამოაცხადა ტრამპმა. ჰილარი კლინტონმა ამაზე მიუგო, რომ რუსების მიზანი ალუპოს განადგურებაა. მან ეს ერთნაირად დას-

და ბრალად როგორც სადას, ისე პუტინს. ჰილარიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთის მიმართ ეფექტური კონტრაქტიკის შემუშავება აუცილებელია. მან ტრამპი რუსეთთან ფინანსურ კავშირებში დაადანაშაულა. - ეს სიცრუეა! - მიუგო ტრამპმა.

დებატები ცხარედ მიმდინარეობდა. ტრამპმა პირობა შეასრულა და აშკარად აგრესიულად იქცეოდა. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ერთმანდაც აცხადებენ, რომ ჰილარი კლინტონი ბევრად დამაჯერებლად გამოიყურებოდა. ტრამპი ყვიროდა, მისი კლინტონსა და მის ქმარს ციხეში ამოვალ-პობო. ჰილარი ამას მუვიდად შეხვდა. ტრამპი არც პირად შეურაცხყოფას მოერიდა. მიუხედავად ამისა, მისი კლინტონი ამასაც მუვიდად და ღიმილით შეხვდა.

სიენის ვერსიით, კლინტონს უპირატესობა ამომრჩეველთა 57%-მა მიანიჭა, ტრამპს - 34-მა. სულ უფრო მეტი სახელოვანი ადამიანი უცხადებს ჰილარი კლინტონს მხარდაჭერას. ამერიკელი კონგრესკვლევის უმრავლესობა ტრამპის წინააღმდეგ გამოვიდა. არნოლდ შვარცნეგერმა, რომელიც, ტრადიციულად, ხმას რესპუბლიკელებს აძლევს, განაცხადა: - ტრამპი მეტისმეტია! ამიტომ ჰილარის ვეზრობი და ეს პირველი შემთხვევაა, როცა ხმას დემოკრატების კანდიდატს მივცემ.

დებატების მეორე რაუნდი უკან დარჩა. ჰილარი კლინტონმა აჯერა-დაც გაიმარჯვა.

# ლიტვის პარლამენტში 7 პარტია გადის



ლიტვაში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. პარლამენტში 7 პარტია გადის. პირველ ადგილზე მწვანეთა და გლეხობის კავშირი. მან 24% დააგროვა. მეორე ადგილზე ქრისტიან-დემოკრატთა სამშობლოსა და თავისუფლების კავშირი - 14%. მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია მესამე ადგილზეა.


# თურქეთში ბერძენები ბრძოლაში

თურქეთის ჰაკარის პროვინციაში ტერაქტი მოხდა. ამჯერად ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომობილი აფეთქდა. დაღუპულია 19, დაშავებულია 27 ადამიანი. თურქეთის ხელისუფლებამ მომხდარში თურქეთის მუსულმანური დაადანაშაულა. პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ტერორისტებისადმი სასჯელი გამკაცრდება.




# ოლანდი კუბინს აღარ შეხვდება

19 ოქტომბერს პარიზში რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ჩასვლას მოელიან. ის საფრანგეთის ლიტვის ოლანდს შეხვდება. საუბრის ძირითად თემებია მდგომარეობა სირია-სა და დონალდს კონფლიქტის მოგვარება. საფრანგეთის პრეზიდენტმა ოლანდმა თავის სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ შესაძლოა პუტინის მიღებაზე უარი თქვას. მიზეზი ის სიმხვევაა, რომელსაც რუსი ჯარისკაცები სირიაში იჩენენ.




# უკრაინაში გრუს ჯაშუხი დააკავეს

უკრაინის უშიშროების სამსახურმა ქალაქ როვოში გრუს აგენტს დააკავეს. ის უკრაინის არმიის შესახებ საიდუმლო ინფორმაციებს აგროვებდა. დაკავებული უკრაინის მოქალაქეა, თუმცა ხშირად მიემგზავრებოდა ხოლმე რუსეთში. მას გრუს ოფიცერი ალექსანდრე ილიუხინი კურირებდა. თავად ილიუხინმა, როგორც მოსალოდნელი იყო, რადიო „თავისუფლებასთან“ ინტერვიუში გრუსთან კავშირი უარყო და უკრაინელი ჩეკისტების ბრალდებას აბსურდული უწოდა. - მე კარგა ხანია პენსიაზე ვარ, - ირწმუნება ილიუხინი.




# სპორტი მოაზადა ნიკა თევზაძემ

ნარსულში ცნობილია ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ტოსტომ ნეიმარზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონის ფორვარდმა უკვე აჯობა რომარიოს. ტოსტოს აზრით, ნეიმარი ბრაზილიელების მთავარი ვარსკვლავი და იმედია, ამიტომ მის გარეშე ნაკრებს ძალიან უჭირს. გარდა ამისა, ტოსტომ აღნიშნა ნეიმარის ინდივიდუალური თვისებები, რომლითაც, ტოსტოს აზრით, ის ბრაზილიელ რონალდოზეც მაღლა დგას. აღსანიშნავია, რომ ნეიმარმა რამდენიმე დღის წინ ბრაზილიის ნაკრებს მისიურით 49-ე გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით ზიკოს გადაასწრო. ნეიმარის წინ მხოლოდ რომარიო, რონალდო და პელე არიან.



# ვილიჯა მიქია ტრავა მიიღო


ნაპოლისა და პოლონეთის ნაკრების ფორვარდმა არკადიუშ მილიკმა ტრავმა მიიღო, რის გამოც მას, სავარაუდოდ, 4 თვე უქმად ყოფნა მოუწევს. მილიკისთვის ეს სამედიცინო ფაქტი დანიის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში მოხდა. მილიკს მუსხლი აქვს დაზიანებული და ბოლომდე გამოჯანმრთელებას ხანგრძლივი პროცედურები დასჭირდება. ნაპოლისთვის მილიკის ტრავმა დიდი დანაკლისია, რადგან პოლონელი ფეხბურთელი წელს შესანიშნავად გამოიყურებოდა და მის ანგარიშზე 9 ჩატარებულ შეხვედრაში 7 გატანილი გოლია.



# ხოსვოხი ბ

შეუღალა: 1. ქსოვილების, ფართულული ვაჭრის ძველბურთის სახელწოდება; 2. კათოლიკე მღვდელი ბელგისა და საფრანგეთში; 3. მწვანე ფერის ნაყოფის მქონე ციტრუსოვანი მცენარე; 4. რაიმე ნაკეთობის შემცირებული ზომის ნიმუში, მოდელი; 6. შებოლილი ძხვის ერთ-ერთი სახეობა; 9. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 11. პირველი ამერიკელი ასტრონავტი; 15. აჭარული ცეკვა; 16. ვაშლის ქართული ჯიშ; 17. ნითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 21. ზამბარანი ხელის სასწორი; 22. უარყოფითად დამუხტული ელექტროდი.

თარაზულად: 5. ქალაქი კახეთში; 7. მთიანეთი აშშ-ში; 8. თვალის კაკლის გარეთა თეთრი გარსი; 10. ლუდხანის ოფიცინატი გერმანიაში; 12. სტანდარტული ფორმის კითხვა-რი ცოდნის შესამოწმებლად; 13. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 14. ნმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი მორწმუნე; 18. სამომსახურეო ჯიშის ძალი; 20. სამურაების მეთაური; 23. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 24. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 25. დესერტი, ტკბილეული; 26. კარატის-ტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 27. მონასტერი დუშეთის რაიონში.



# ნიწა ნომეხში გამოქვეყნებული ხოსვოხების ჰასეხები:

პროსმორდის პასუხები: თარაზულად: 1. ვიბრატო; 4. სატაცური; 7. კარმა; 9. პაიკი; 12. პოლოტი; 13. ანონა; 14. ბრამისი; 17. ამპერი; 18. პენსილვანია; 19. სინდისი; 20. დატვივი.

შეუღალა: 1. ვაკე; 2. რომბი; 3. ომეგა; 4. სპინი; 5. ტარივი; 6. რეპეტივი; 8. მონტგომერი; 10. კორპორანტი; 11. მასკარადი; 14. ბროლია; 15. ხაზანი; 16. ლავრა.

საწმორდის პასუხები: 1. სატირი; 2. ილო 3. ანალოგი; 4. მოსე; 5. ილია; 6. სფინქსი; 7. ქრომი; 8. რქა; 9. ფრაუ; 10. მერქანი; 11. კარტახენა; 12. სირ; 13. ოთარი; 14. არა; 15. მაგალითი; 16. სოლ; 17. იოდი; 18. თამარიანი; 19. მარაო; 20. ნარ; 21. სან; 22. მათარა; 23. კოლივი; 24. აჯანი; 25. იენა; 26. რა; 27. პრევი; 28. მირკანი; 29. ბილივი; 30. ილიკო; 31. კარავაჯო; 32. ოკარინა; 33. ექო.

სურათებზე: ჯენიფერ გარნერი; რობერტო კარლოსი.

PHILIPS 70 ლარად 150 ლარის ნახვლად. შვიქინეთი Mozer-1800 - პროფესიონალი გარამანული თიხის საკარჭი! 50 ლარად 95 ლარის ნახვლად. სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნახვლად. 30 ლარად 55 ლარის უმაღლესი ხარისხის ელექტროლიუბი.

ასტრონომიის 11 ოქტომბრისათვის. პარკი - ეს დღე საინტერესო ნაცნობობას გიქადით. იზრუნეთ საკუთარი პროფესიონალიზმის სრულყოფაზე. პარკი - ბედი გწყალობთ. გარშემომყოფებთან პარკონიული ურთიერთობა გაქვთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. მკურნალობა - მატერიალურ მდგომარეობას არ უჩივით. შესაძლოა, ხელსაყრელი შემოთავაზებაც მიიღოთ. ნუ დაწვრილმანდებით. ქირჩხიმი - თავს მხნედ გრძნობთ. განწყვეთ ოპტიმისტურად. კამათში ნუ ჩაერთვებით. ლომი - შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, საყოფაცხოვრებო პრობლემების მოსაგვარებლად. ძველ მეგობარს აუცილებლად შეხვდით. ქალწული - ვარსკვლავები გმფარველობენ. ახალი საქმე თამამად დაიწყეთ. პარკონიული და მშვიდი დღეა. სასწრაფო - იმედიანად ხართ. ბედი არ გიმტყუნებთ. კარგი იქნება ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სეირნობა. ღრინაწალი - დამაბული პოლიტიკური მდგომარეობა თქვენს ფსიქიკაზეც მოახდენს გავლენას. ბედს მივნიდეთ. ვერაფერს შევცვლით. მკურნალობა - თქვენი მომხიბვლელობის წყალობით მრავალი ადამიანის გულს მოინადირებთ. პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. თხის რკა - კეთილისმყოფელი პერიოდი გიდაგათ. ახალი ინფორმაციის გამო, შესაძლოა, გეგმები შეგეცვალათ. მარტოობა - გიმავილდებთ ინტუიციას. მოგვიდით, სამომავლო გეგმები თამამად დასახეთ. არ შეტყუდებით. თქვათ - სასიცოცხლო ენერჯია გემატებათ. საკუთარი ძალების იმედი იქონიეთ. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. გისუხებთ ბენიხი დღეს!



# ახალი თაობა



გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:  
http://www.opentext.ge/akhaliataoba

11 ოქტომბრისთვის



აშშ დოლარი — 2.3337



ინგლისური სტერლინგი — 2.8852



ევრო — 2.5986




100 რუსული რუბლი — 3.7382

## ქართული ლარის მიმართ უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი



ამინის ჰიგროზი 11 ოქტომბრისთვის

### 12 ოქტომბრიდან



## კახეთი

### გზამკვლევი

ფასი გაზაფხულთან ერთად 7 ლარი


### 11 ოქტომბრიდან

## ელისი საოცრებათა ქვეყანაში

### ფარადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით

ინგლისელი მათემატიკოსისა და მწერლის ლუის კეროლის ზღაპარი „ელისი საოცრებათა ქვეყანაში“ პირველად 1865 წელს გამოიცა და დღემდე უდიდესი პოპულარობით სარგებლობს.

ერიკ კინკეიდის შესანიშნავი ილუსტრაციებით გაფორმებული ეს ზღაპარი დაუფინანსებელი მოგზაურობას გვიჩვენებს საოცრებათა ქვეყანაში.



ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

### 18 ოქტომბრიდან

## ოლივერ ტვისტი

### ფარადი ილუსტრირებული გამოცემა მაგარი ყდით



ჩარლზ დიკენსის კლასიკური ნაწარმოები „ოლივერ ტვისტი“ პირველად 1838 წელს გამოიცა და მას შემდეგ უამრავი მკითხველს შეაყვარა თავი.

ღარიბ-ღატაკთა თავშესაფარში დაბადებული ოლივერ ბიჭუნას ამალელები თავგადასავალი ყველას ერთნაირად აუწყებენ გულს.

ნიგნი ერიკ კინკეიდის ილუსტრაციებითაა გაფორმებული.

ფასი გაზაფხულთან ერთად 12 ლარი

### იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:  
— ქმარი გიყვარს?  
— არა.  
— კი მაგრამ, მასთან გძინავს?  
— რა თქმა უნდა.  
— მაშინ რატომ არ შორდები?  
— მეერ, რით ვიცხოვრო?  
— განა ეს იგივე მძებავთა არ არის?  
— არა.  
— აბა, მაშინ რა არის?  
— ქორწინება.

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— გაზეთში განცხადება გამოვაქვეყნე: „ვეძებ მეგობარ გოგონას ცხოვრების თანამგზავრად.“  
— მერე?  
— ოცამდე მამაკაცი გამომეხმარა.  
— რაო მერე?  
— ყველამ ერთი და იგივე მომწერა: „ჩემსას დაგიტოვებ.“

სტუდენტი ყმანვილი პოპულარულ მომღერალს ეუბნება:

— ცოლად გამომეყვიტო! მომღერალმა შეათვალიერა და ეკითხება:  
— რამდენი გაქვს შემოსავალი?

ყმანვილმა თავისი სტიპენდია დაუხსნა, რაზეც მომღერალმა დაცინვით უპასუხა:

— შენი ფული ტუალეტის ქალაღისთვისაც კი არ მყყოფა!

სტუდენტი შეტრიალდა და გასასვლელისკენ გაემართა. კართან მისული, მომღერლის სიტყვამ შეაჩერა:

— სად მიდიხარ?  
— ასეთი კუჭაშლილი ცოლი რაში მჭირდება!

მაღაზიაში შეუხედავი ქალი შევიდა ორ ბავშვთან ერთად. ბავშვებს წარამარა თავში უთაქებს და გარშემოყვავებულს ამრებით უყურებს.

გამყიდველი მას მიმართავს:

— გამარჯობა! კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება. რა კარგი ბავშვები გყავთ. ტყუუბი არიან?

— რა სისულელეს ლაყბობ, შე ჭკუახილო! ერთ 9 წლისაა, მეორე 8-ის. შენ რა, ბრმა ხარ თუ, უბრალოდ, სულელი?

— არც ერთი და არც მეორე, უბრალოდ, ვერ დავიჯერე, რომ ვინმეს იმდენი სიმამაცე ყყოფოდა, თქვენთან მეორედაც დანოლილიყო.

მოამზადა კახა ნატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



### 13 ოქტომბრიდან

## ჩემი პირველი სიტყვები ცხოველები

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

ფასი გაზაფხულთან ერთად 7 ლარი



## ჩიჩარიტო, შესაქლოა, ვალენსიაში აღმოჩნდა

მექსიკელი ფორვარდი ხავიერ ერნანდესი, იგივე ჩიჩარიტო, შესაქლოა, ზამთარში ვალენსიაში გადავიდა.

ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება, სადაც აცხადებენ, რომ ერნანდესი არ არის კმაყოფილი ლევერკუზენის ბაიერში შექმნილი მდგომარეობით და გუნდის გამოცვლას აპირებს.

ვალენსია, თავის მხრივ, გამტანი ფორვარდის ძიებაშია და ჩიჩარიტო ამ როლს იდეალურად ერგება.

თავისი კარიერის განმავლობაში ჩიჩარიტომ ისეთი გუნდების მისურვილი მოიგო, როგორც რეალი და მანჩესტერ იუნაიტედი არიან. ბაიერში ის 2015 წელს გადავიდა და გერმანული კლუბის შემადგენლობაში 22 გოლის გატანა შეძლო.

## სერხიო აგუერო ტრავმა მიიღო

არგენტინის ნაკრებისა და მანჩესტერ სიტის ფორვარდმა სერხიო აგუერომ ტრავმა მიიღო, რის გამოც ის პარაგვაისთან შეხვედრას გამოტოვებს.

აგუერომ ტრავმა თავისი ნაკრების ერთ-ერთ ვარჯიშზე მიიღო და ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რამდენი ხანი გაუცდება მას.

აგუეროს უახლოეს დღეებში სამედიცინო გამოკვლევას ჩაუტარებენ, რის შემდეგაც ბევრი რამ გაირკვევა.

აგუერო არგენტინის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია, თუმცა მას უკვე რამდენიმე მატჩია, ნაკრების მისურვილი გოლი არ გაუტანია.

პარაგვაი-არგენტინის დაპირისპირება 13 ოქტომბერს გაიმართება. ამ შეხვედრაში არგენტინელებს ვერც ლინელ მესი დაეხმარება.



მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ბრასიანო პელე კაბიჯას იტხოვს

იტალიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გრაციანო პელე ნაკრებიდან დროებით მოკვეთეს, რაც იმის გამო მოხდა, რომ პელემ ნაკრების მთავარ მწვრთნელ ჯანპიერო ვენტურას ხელი არ ჩამოართვა.

ესპანეთთან მატჩის დროს გრაციანო შეცვალეს, რის გამოც ის გაბრაზდა და ეს ინციდენტიც მოხდა.

პელემ უკვე მოიხადა ბოდიში და თქვა, რომ ემოციებს აპყვავდა და თავის საქციელს ძალიან ნანობს. გრაციანომ იმედი გამოთქვა, რომ იტალიის ნაკრებში ის მალე დაბრუნდება.

ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება ეს, რადგან ვენტურა გაბრაზებულია და ფიქრობს, რომ პელემ მას შეურაცხყოფა მიაყენა.



მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## ჯიხვოხი ა

შეუღალა: 1. ურუგვაის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 2. ტბა ნინონმინდის რაიონში; 3. ძღვენი, საჩუქარი; 4. სევანის ტბის ძველი სახელწოდება; 5. ქართველი მოქანდაკე, ოგიუსტ როდენის მოწაფე; 6. ვენესუელის დედაქალაქი; 12. გერმანული ავტომობილი; 13. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება; 14. პერუში მცხოვრები ინდიელთა ტომი; 16. სამრეწველო რაიონი პოლონეთში; 18. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 20. ცხვრის ქონიანი კული.

თარაზულად: 6. თათარაში ამოღებული ნიგვზის ან თხილის ასხმულა; 7. საზეიმო კონცერტის დასკვნითი ნაწილი; 8. ბრაზილიური არაყი; 9. მონასტერი ოჩაჩხირის რაიონში; 10. მოქმედების უნარის დაკარგვა, დაშლა; 11. ქართველი შტანგისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 15. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 17. ქართული რადიო; 19. ქართველი მხატვარი ქალი; 21. საგამოფენო შენობა; 22. რაიმე საქმის ზერედედ მცოდნე; 23. ორბრძოვანი, გადაკრული სიტყვა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

